| *ინდიკატორი* N2.1.2.4. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და | **სახელმწიფო ენა:** სასურველია, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით იქნას შენახული და შეიქმნა ე.წ. დავალებების ბანკი. |

| | | |
|---|---|---|
| | **ამოცანებს.** | |
| *ინდიკატორი* **N2.1.2.5.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით  და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის  მხარდაჭერას.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები- საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი / პროდუქტები. |
| *ინდიკატორი* **N2.1.2.5.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.** | **სახელმწიფო ენა:**  ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.<br><br>შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს მიუთითონ ესგ-ში მითითებული შედეგები, რომლის შემოწმებას აპირებენ ამ დავალების საშუალებით და შექმნან შეფასების რუბრუკები  (თუ შემაჯამებელი დავალება ამოწმებს რამდენიმე მიმართულებას, მაგალითად, წაკითხულის გააზრებას, გრამატიკული ნორმების ცოდნას, თავისთავად ყველა მიმართულებას (დავალებას) ექნება თავისი შეფასების რუბრიკა). |
| *ინდიკატორი* **N2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმი ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. ყველა საგანი (მე და |

| | | |
|---|---|---|
| | **კურიკულუმის შესაბამისად.** | საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია). |
| *ინდიკატორი* **N2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.** | **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სკოლამ კურიკულუმების შექმნის/მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმების ფორმაში დაამატონ, დაახლოებით, რამდენ აკადემიურ საათს დაუთმობენ კონკრეტული თემის შესწავლას. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ერთი სვეტი, ან შეუძლიათ აირჩიონ სხვა ფერის ან სტილის შრიფტი, რათა ნათლად გამოჩნდეს კურიკულუმში მათ მიერ სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებები. ეს ცვლილებები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. |
| *ინდიკატორი* **N2.2.1.2.** | **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.** | **რჩევა:** სასურველია, სკოლამ აღნიშნული საკითხები (სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირებისთვის) დოკუმენტურადაც გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმასა თუ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის ჩანაცვლება მისი არყოფნის შემთხვევაში, როგორ მოხდება სასწავლო დღეების კალენდრის კორექტირება, ობიექტური მიზეზების გამო სასწავლო დღის/დღეების გაცდენის შემთხვევაში, როგორ მოხდება დაგეგმილი პროცესების გადაგეგმვა, საჭიროების შემთხვევაში და ა.შ. |
| *ინდიკატორი* **N2.2.1.3.** | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.** | **სახელმწიფო ენა:** სასურველია, კათედრამ ცალკე შეიმუშავოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ-ის მიხედვით) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკები. |
| *ინდიკატორი* **N2.2.1.4.** | **სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.** | მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის მექანიზმის აქტიური გამოყენება, რისთვისაც სასურველია, შეიმუშაოს ვერიფიკატორების მიერ განსახორციელებელი აქტივობების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, |

| | | |
|---|---|---|
| | | განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. |
| *ინდიკატორი* **N2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**: სასურველია, მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის, ასევე მათ მოტივაციას. |
| *ინდიკატორი* **N2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. |
| *ინდიკატორი* **N2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.** | **უცხოური ენები:** სასურველია, კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები. |
| *ინდიკატორი* **N2.3.1.1.** | **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.** | მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს კონკრეტული ინსტრუმენტების შემუშავება და მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების კონკრეტული გეგმი შექმნა, რომელთა დახმარებითაც სკოლა შეძლებს როგორც მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციის პერმანენტულად შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, დასრულებული პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. |
| *ინდიკატორი* **N2.3.2.1.** | **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.** | სასურველია, სკოლამ შეფასების პროცესში მეთოდოლოგიით დამატებით განსაზღვროს და ინფორმაცია შეაგროვოს მოსწავლეთა, მშობელთა თუ სხვა ჩართული მხარეებიდანაც, რათა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს მრავალფეროვანი წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაციის |

| | | |
|---|---|---|
| | | ანალიზს. |
| *ინდიკატორი* ***N2.3.2.2.*** | **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.** | სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დააფუძნოს მრავალფეროვან კონტექსტებს, მაგალითად, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სასკოლო კულტურისა და გარემოს ფორმირების, მოსწავლის მხარდაჭერის სისტემებისა თუ სხვა კონტექსტების შესწავლას. |
| *ინდიკატორი* ***N2.3.2.3.*** | **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.** | სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება. |
| *ინდიკატორი* ***N2.3.2.4.*** | **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.** | სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო, მოსწავლეზე ორიენტირება, ოჯახის როლი და ა.შ.) |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, ასევე გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში, სტანდარტის შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა სრულად შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა მეტწილ და ნაწილობრივ შესაბამისად.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, დაეხმაროს მათ ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის მისიაა აღზარდოს ისეთი მოქალაქეები, რომლებიც იზრუნებენ ქვეყნის ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვისთვის, დემოკრატიული ღირებულებების ამაღლებისთვის. ხოლო სკოლის ხედვაა თითოეული მოსწავლე აღჭურვოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შემქმნელი, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებული იქნება, სადაც სწავლა სასიამოვნო და საინტერესო თავგადასავლებით სავსე პროცესია წარმატების მისაღწევად. ასევე სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს არაფორმალურ განათლებასა და პროექტულ სწავლებას. ასევე ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან. აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, კითხვარის საშუალებით და შემდეგ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ წარედგინა შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის შექმნაზე და სასკოლო საზოგადოების წევრების აზრების ურთიერთშეჯერებით მიღებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს საშუალება, რომ გაეცნოს მას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
სკოლის სახელწოდება „სსიპ ხელვჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა

ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

კითხვარი

ვებ გვერდი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე,

განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს: სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2024-2031 წლების პერიოდს და განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლას დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა უნდა განიხილოს პედაგოგიურმა საბჭომ და შემდეგ დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ. სკოლამ ვერ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, სადაც მოხდა პედაგოგიური საბჭოს მიერ განხილული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითა, რომ სკოლის

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მეთოდოლოგიის შესაბამისად დამტკიცდება **08/09/2025წელს.** შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქმედო გეგმა უნდა განიხილოს პედაგოგიურმა საბჭომ და შემდეგ დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ. სკოლამ ვერ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, სადაც მოხდა პედაგოგიური საბჭოს მიერ განხილული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითა, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მეთოდოლოგიის შესაბამისად დამტკიცდება **08/09/2025 წელს.** შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. მაგრამ ვინაიდან ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ არის დამტკიცებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში

წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითა, რომ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მეთოდოლოგიის შესაბამისად დამტკიცდება **08/09/2025 წელს.** შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. საჯაროობის უზრუნველყოფისათვის კი ანგარიშები უნდა განთავსდეს ვებ გვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშე(ბ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“, სადაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. ბრძანების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, ადმინისტრაციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს და კათედრებს. ბრძანებაში დეტალურად და მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ასევე გაწერილია სკოლის თანამშრომელებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანების ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“ შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სკოლის ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სკოლის დირექციის განმარტებით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობების განაწილება ხდება ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული/პირი ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ განსაზღვრულ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

სკოლის სტრუქტურა

შრომითი ხელშეკრულებები

სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს ოქმები

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ ზედა განთიადის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებსა და პოლიტიკას. სკოლის მიერ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აგრეთვე შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, რომლებიც დადგენილია სკოლის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მასწავლებელი, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. მასწავლებლების მხრიდან გაცდენები იშვიათია, მაგრამ გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექტორით განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილება, ხოლო ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის გამოცხადება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები, რომელიც ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაყრდნობით. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შერჩევას და მოზიდვას. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე teacherjobs.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის დაცვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შიდა ან ღია კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც განსაზღვრულია თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს. სკოლას საშტატო ნუსხის შესაბამისად ჰყავს: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი და ცეცხლფარეში. სკოლაში დასაქმებულია 21 მასწავლებელი, აქედან 14 უფროსი, 3 წამყვანი და 1 მოწვეული მასწავლებელი. ასევე სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი, რომელთაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია და მათი კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგების შერჩევის ვადად მიუთითა **23/07/2026 წ.** შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიული წარმატება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის შინაგანაწესი, რომელთა მიხედვითაც წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად ღებულობენ

მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, თუ კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

კონკურსის მასალები

კათედრის ოქმები

მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები

პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებულ ბრძანებებში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, ხოლო თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ეს საკითხი განხილულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანალიზის საფუძველზე ახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა, ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება. დასაქმებულთა

მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პროფესიული განვითრების სისტემას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

იმისთვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მან უნდა გაიაროს ადაპტაციის პროცესი. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა. რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა წახალისების ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი შეიცავს პერსონალის წახალისების მეთოდებსა და მათი გამოყენების წესს, რაც ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ

მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს: რისკების შეფასებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, შემოწმების განხორციელებას, დასკვნის შედგენას და უკუკავშირს, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შეფასდება გარე შემფასებლის მიერ. ამდენად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. დოკუმენტის მიხედვით მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განვითარება, საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა და სხვა. დოკუმენტი ასევე შეიცავს პროცესების აღწერას და მის გამოყენების წესს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში წარდგენილი საჩივარი/განცხადება განიხილება ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ეს წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე, მათ მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირზე, ვისაც სურს განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას. დოკუმენტში აღწერილია რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები. ასევე განსაზღვრულია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს არჩეული დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არის საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება და სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“, სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომლითაც სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

დისციპლინური კომიტეტის აღჩევის ოქმი

შინაგანაწესი

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ინფორმაციის

მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მართვის კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმები

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმი

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

   სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისის

სერტიფიკატი. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 10 ვიდეო კამერა, რაც შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს საფრთხის შემცველ ქმედებებზე რეაგირება. სკოლას ასევე ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. სკოლას აქვს გაგზავნილი მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. ასევე სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დასკვნის თანახმად: ,,სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დღეის მდგომარეობით, ვიზუალურად შენობა-ნაგებობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის მდგრადობას და ხელს შეუშლის მის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას“. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ,,მეორე სართულის დერეფნებსა და რამდენიმე საკლასო ოთახის კედლებზე დაფიქსირდა მცირე ზომის ბზარები, რაც საჭიროებს დაკვირვებას შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის. მათი პროგრესის შემთხვევაში საჭიროა დროულად მიღებულ იქნეს შესაბამისი ზომები”. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს დასკვნაში მითითებული გარემოება და საჭიროების შემთხვევაში დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები. ასევე სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი“, რომელიც წარმოადგენს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელ დოკუმენტს და ადგენს სკოლაში სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კონკურსის წესით შერჩეულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი

ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიცავს ექთნის ვალდებულებას, მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე, შეაფასოს მისი სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. კონტროლდება უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის საშუალებით. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და იღებს სკოლის დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიების გატარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. ჰყავთ კონკურსის წესით შერჩეული ექიმი, რომელიც მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პასუხისმგებელია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და ახორციელებს მონიტორინგს. სკოლას

ასევე ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სისუფთავის დაცვაზე. სოციალურად დაუცველთა ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით აყვანილია ერთი მეეზოვე, რომელიც ზრუნავს სკოლის ეზოს სისუფთავეზე. სკოლის შენობაში მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლას აქვს შეძენილი სანიტარული-ჰიგიენური საშუალებები და ახორციელებს მათ მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს და მათი უფლებამოსილებას. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. ბრძანებაში დეტალურად არის აღწერილი თითოეული თანამშრომლის ვალდებულება უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა

ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა

პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

ექთნის კონკურსის მასალები

ექთნის ხელშეკრულება

საქმისწარმოების წესი

საშტატო ნუსხა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა განთიადში. სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით გადაცემული აქვს 1145.4 კვ.მ საერთო ფართით. სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1929 წელს, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 2015-2016 წლებში. სკოლა არის ორსართულიანი და აქვს აგრეთვე ე.წ. ნულოვანი სართული, სადაც

განთავსებულია სველი წერტილები და სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მოწესრიგებული სველი წერტილები. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა, სპორტული ინვენტარი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი“, სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, განთავსებული. შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, არსებული რესურსებით სარგებლობისა და გამოყენების, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დებულების თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პასუხისმგებელია სახელმძღვანელოების მიღებაზე, დამუშავებაზე და აღრიცხვაზე, ასევე დადგენილი წესით საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია სარეგისტრაციო ჟურნალებში და ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში, ასევე თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს სათანადო ნომერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყოფილია რესურსოთახი. მაგრამ სკოლას არ აქვს არც მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი ან პანდუსი და არც ე.წ. ნულოვან სართულზე ჩასასვლელი პანდუსი. ასევე სკოლას არ გააჩნია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები. აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტის ან პანდუსისა და ნულოვან სართულზე ჩასასვლელი პანდუსის მოწყობას, ასევე უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **23/07/2027წ.** შესაბამისად ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც ნაწილობრივი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობაში არ არის სააქტო დარბაზი, სკოლა მაინც ახერხებს საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეების მონაწილეობით, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით. სკოლას აქვს ეზოში კეთილმოწყობილი ფართო სარეკრეაციო სივრცე. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბიბლიოთეკის დებულება

რესურსების მიღება-ჩაბარების აქტები

მატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი

შენობის საკადასტრო ნახაზი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბალანსზე ირიცხება 3 ლეპტოპი, 16 კომპიუტერი, 2 პროექტორი და 3 პრინტერი. სკოლაში არის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტებითა და ვიზუალური დათვალიერებით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ოთახში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის რესურსების ხელმისაწვდომობას

მოსწავლეებისათვის, სკოლის პერსონალისათვის, რაც ხელს უწყობს სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

მიღება-ჩაბარების აქტები

ციფრული განვითარების გეგმა

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზაციულ სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვა. ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც ასევე ახორციელებს წერილების მიღებას, რეგისტრაციას და გაგზავნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს, კერძოდ, 10 დეკემბრამდე ანგარიშის წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ანგარიშის საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნება, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საქმისწარმოების წესი

ანგარიში

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. სკოლას საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის/კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გა*ვრცელებას* და ამისთვის იყენებს ვებგვერდს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, დახურული სოციალური ქსელებიდან, თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, გრიფირებული სახელმძღვანელოები, გასაჩივრების წესი, სკოლის ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ვებგვერდი

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

Facebook-გვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილია საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა დგება წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. სკოლის ბიუჯეტზე გათვალისწინებით,სკოლა ყოველწლიურად

ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლისდირექტორიდაბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბიუჯეტი

შესყიდვების წლიური გეგმა და წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები და გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის

საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მოსწავლის გადმოყვანისა ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

   მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. ასევე, მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია შეთანხმებები მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შინაგანაწესი

განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი

ვებგვერდი

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

   სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რაც უზრუნველყოფს, რომ სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაციები იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ასევე სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე

შინაგანაწესი

ვებგვერდი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“,სადაც გათვალისწინებულია პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრული ღონისძიებები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაცია. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს საკუთარი დებულება. მათი ინიციატივით სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ასევე მოსწავლეთა მიერ შექმნილია კლუბები, სკოლას აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის გეგმა, რომლის მიზანია მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერა და მისი იდეის რეალიზებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. გეგმებისა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმის საფუძველზე წინასწარ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი არაფორმალური აქტივობა, პროექტი, ექსკურსია, საქველმოქმედო

ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება, მოსწავლეთა ნამუშებრების გამოფენა და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**
მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად, სკოლაში ტარდება გამოკითხვები, რომლის შედეგებიდან გამომდინარე სკოლა ითვალისწინებს მათ აზრებს და ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. ტარდება მშობელთა კრებები, სადაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს სამოქალაქო კლუბი ,,ერთობა“, ძირითად მიზნებს წარმოადგენს მოსწავლეთათვის კლუბის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, ასევე პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების განვითარება. მოსწავლეთათვის კლუბის ფარგლებში წარმოშობილი პრობლემური თუ საინტერესო საკითხების განხილვა. ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის გეგმა

კლუბების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
სკოლაში მოქმედებს ,,პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა“, რომელიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვისაა დაგეგმილი. პროგრამა მოიცავს გაკვეთილებს, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე და მათ მახასიათებლებზე, მომავლის დაგეგმვის მნიშვნელობის

გააზრებაზე, შრომითი ღირებულებებისა და ინტერესების გაცნობიერებაზე, მოსწავლეებში გადაწყვეტილების უნარის გაუმჯობაზე, საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების იერარქიაზე, შრომის ბაზრის მნიშვნელობაზე და სხვა.

გაკვეთილები მიმდინარეობს სხვადასხვა აქტივობის გამოყებებით, როგორიცაა: მინი-ლექცია ,, გონებრივი იერიში", დისკუსია, ,, შეურჩიე პროფესია", ,, შვიდი ქუდი", ,, ღირებულებათა აუქციონი" და სხვა.

გაკვეთილების შედეგად მოსწავლეები აცნობიერებენ მომავალი პროფესიის არჩევის მნიშვნელობას. ინდივიდუალურად ახდენენ პიროვნული მახასიათებლების იდენტიფიცირებას, ივითარებენ მიზნის დასახვისა და გეგმის შედგენის უნარებს, გაეცნობიან საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, აანალიზებენ საკუთარ ინტერესებს, შრომით ღირებულებებს და იაზრებენ მათ კავშირს პროფესიულ არჩევანთან.

გაკვეთილების ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება: მეზობელი სკოლის მოსწავლეებთან ერთად დაიგეგმა ვიზიტი ბათუმის იუსტიციის სახლში. მასწავლებლებმა იზრუნეს საორგანიზაციო საკითხებზე, შეთანხმდნენ იუსტიციის სახლთან და განხორციელდა ვიზიტი, მოსწავლეები გაეცნენ მის სამუშაო სტრუქტურას, მენეჯერმა მიააწოდა უახლესი ინფორმაცია საჯარო სამსახურის შესახებ და პასუხები გასცა მოსწავლეთა შეკითხვებს. პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სსიპ-ზედა განთიადის საჯარო სკოლის IX და X მოსწავლეებთან ერთად განხორციელდა ვიზიტი მახინჯაურის ნავიგაციის ინსტიტუტში. ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებმა უჩვენეს მოსწავლეებს სასწავლო წვრთნები, სტუდენტებმა კი წაიკითხეს მინი ლექციები სხადასხვა თემებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. მოსწავლეებისთვის პროფესიული არჩევანის გაკეთების გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლაში მოიწვია სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებმაც კითხვა- პასუხის რეჟიმში გაუზიარეს მოსწავლეებს თავიანთი გამოცდილება, თუ როგორ დაისახეს მიზნები და როგორ გავიდნენ შედეგზე, რა სიძნელეები

შეხვდათ და როგორ დაძლიეს ისინი, რა უნარები იყო საჭირო პროფესიაში წარმატებისთვის და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**
   სკოლა მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

პედსაბჭოს ოქმი ,პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების განრიგთან დაკავშირებით

კვლევის რეფლექსია

პროფორიენტაციის რეფლექსია

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ზოგადი მითითებები სსსმ მოსწავლესთან მუშაობის თვალსაზრისით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესები. დღეისათვის სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ამიტომ კონკრეტულად არ აქვს მომზადებული ინდ. გეგმები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში არის მზაობა ამ პროცესის სწორად წასამართად. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში

სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლის თანამშრომლებში არის მზაობა იმისათვის, რომ თუ ეყოლებათ, ყველანაირად შეუწყობენ ხელს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. ამისთვის მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა და პროფესიული უნარები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ შეიცავს სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმებს, სადაც აღნიშნულია თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს სკოლამ სსსმ მოსწავლის რეგისტრაციის შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ,,საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა დ ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფინანსებული

ტრანსპორტირების მომსახურებით. მომსახურება ითვალისწინებს ორი კილომეტრის და მეტი მანძილიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. პროგრამას მონიტორინგს უწევს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. სკოლა აწარმოებს ყოველდღიურ ტაბელს და განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სხვა სახის დამატებით (არასავალდებულო) სახის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არასავალდებულო მომსახურების სახით სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურებას, სხვა დამატებით (არასავალდებულო) სახის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით, უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. სამუშაოს შესრულების ტაბელს ყოველდღიურად ხელმოწერით ადასტურებენ სკოლის დირექტორი და მძღოლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ტრანსპორტის მომსახურების ტაბელი

შეფასება:*გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი) | ☐ შეესაბამება<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒**მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არშეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br><br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br><br>(საბაზო) | ☐ შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br><br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br><br>(საშუალო) | ☐ შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br><br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **☒ შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არშეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **☒ შეესაბამება**<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვის გზებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს გაწერილ რეგულაციებს, პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობებსა და ძირითადი პროცესების (კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია) აღწერას. კურიკულუმის შემუშავებისას, მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეების შესაძლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლაში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, თითოეული კათედრის მიერ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ერთობლივი მუშაობით კურიკულუმების შემუშავება, წინა წლის შედეგებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. განხილვის პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, ჩართულობის ხარისხს, კათედრის მუშაობის ეფექტიანობის შეფასების შედეგებსა და ა.შ. აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექტორიც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ხდება მასწავლებლების მიერ წინა წლის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებებისა და მშობლებთან კომუნიკაციის შედეგებზე დაყრდნობით. მეორე უცხოური ენისა თუ არჩევითი საგნების არჩევა სკოლაში ხდება მშობლებისა და მოსწავლეების გათვალისწინებით. სასკოლო პროექტებისა თუ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისას მასწავლებლები ეყრდნობიან მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კურიკულუმების შინაარსი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რაც დამატებით იძლევა იმის

საშუალებას, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი განხორციელდეს, რაც თავის მხრივ, მათი ინტერესების გათვალისწინებასაც გულისხმობს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების, ინტერესების შესწავლისა და მათი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინების მზაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას სკოლაში ჩატარდა კათედრების სხდომები, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა იმსჯელეს თითოეული საფეხურის კურიკულუმის შინაარსზე, წინა წლის შედეგების გათავალისწინების გზებზე. კურიკულუმების პროექტის განხილვა ხდება როგორც სამეურვეო საბჭოს წევრებთან, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე. დამრიგებლების მხრიდან ხდება მშობელთა მოსაზრებების შეგროვება და მიწოდება მასწავლებლებისთვის, რაც იძლევა სასკოლო საზოგადოების ამ წევრთა ჩართვის საშუალებასაც. მხარეების მიერ ხდება ისეთ საკითხებზე მსჯელობა, როგორებიცაა - ეფექტიანი სასწავლო მეთოდების შერჩევა, პროექტების თემატიკის განსაზღვრა, მოსწავლეებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზება და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ კურიკულუმის გაზიარება ხდება პროექტის შემუშავების ეტაპიდანვე. პროექტი ზიარდება როგორც სამეურვეო საბჭოს, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრებთან. ინტერვიუებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ საფეხურზე კლასის დამრიგებლების მიერ კურიკულუმების მთავარი ასპექტების გაცნობა ხდება მოსწავლეთა მშობლებთან. აქცენტი კეთდება ისეთი კომპონენტების გაზიარებაზე, როგორებიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის საორგანიზაციო ნაწილი, საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული შესასწავლი საკითხები, შეფასების სისტემა, სწავლების მეთოდები და ა.შ. სკოლას კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითაც აქვს განსაზღვრული სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საშუალებები, კერძოდ, სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია, შეხვედრები და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა;

პედსაბჭოს ოქმები;

კათედრის ოქმები.

## 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სასწავლო საგნების (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ - ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა საქმიზნე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. იკვეთება, რომ დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და ხელს უწყობს მრავალფუნქციური უნარების განვითარებას.<br>სასწავლო თემების დამუშვებისთვის გათვლილია სავარაუდო საათები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესებ ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზ ხდება კურიკულუმების დანერგვა.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმში ყველა თემასთან მიმართებით გათვალისწინებული იყოს შემოქმედებითი ტიპის დავალება, რომელიც მიზნობრივად იქნება დაკავშირებული თემასთან, |

| | |
|---|---|
| | იქნება რეალისტური და განხორციელებადი. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გაითვალისწინონ მრავალფეროვანი და დიფერენცირებული მიდგომა (**სამივე საფეხური** - ყველა საგანი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>**რჩევა**-სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, იუთუბ ლინკი III კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებისთვის -შექმენი პოსტერი "ჩემი საყვარელი შინაური ცხოველი". **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სწავლის მიზნები შესაბამისობაშია სტანდარტის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავებულია შედეგებიც და სამიზნე ცნებებიც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თემის ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები და კონტექსტ-მაგალითები, დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას.დაწყებით და საბაზო საფეხურზე, გარდა IV და IX კლასებისა კურიკულუმის ჩარჩოებში, ჩასამატებელია თემატური ბლოკებისთვის განკუთვნილი უჯრა, როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, მექანიკური უზუსტობაა, რის გამოც მათ მიეცათ **რჩევა**, რომ ცალკე იყოს დატანილი თემატური ბლოკის დასახელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს. შემუშვებული კურიკულუმები და |

| | |
|---|---|
| | ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითიხასიათის დავალებებიდა გასაუბრების დროს კათედრის წევრების მიერ მაგალითად მოყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | კლასების მიხედვით წარმოდგენილი კურიკულუმები სტრუქტურირებულია, თემების მიხედვითაა დალაგებული და მიემართება სამიზნე ცნებებს. წარმოდგენილი კურუკულუმები, სამივე საფეხურზე, შედგენილია და სრულად ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. გაწერილი მიმართულებები, სამიზნე ცნებები, თემები/საკითხები. შესაბამისობაშია ესგ მოთხოვნებთან.<br><br>კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს ცოდნის და უნარების ინტეგრირებულად განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. რჩევა: სასურველია, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში ყველა კლასში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება. საბაზო და საშუალო საფეხურზე კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლებისდაგვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამისს კონტექსტებს. კლასების მიხედვით წარმოდგენილი კურიკულუმები სტრუქტურირებულია, მიმართულებების მიხედვითაა დალაგებული და მიემართება სამიზნე ცნებებს. დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ზედა განთიადის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. (თუმცა, მესამე და მეოთხე კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმებში არაა გააქტიურებული ცნება პიროვნება. არასრულია საკითხთა ჩამონათვალიც)<br><br>მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში არასწორადაა წარმოდგენილი თემები. სავალდებულო თემების ნაცვლად საკითხები უწერიათ.<br><br>კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ყველა საგნის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემაში არ არის ასახული. ასეთი დავალებები ძალიან ცოტაა (უმეტეს შემთხვევაში 1 ან 2 დავალება წელიწადში), რაც მოსწავლეებს ნაკლებად აძლევს ინიციატივის, თვითგამოხატვის, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.<br><br>სასურველია, ბუნებისმეტყველებაში ყველა სამიზნე ცნებაში დამუშავდეს საკითხები.<br><br>სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებს დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რომლებიც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება. |

| | |
|---|---|
| | სასურველია, რომ ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები.<br><br>სასურველია, კურიკულუმების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა, მაგ: ყველა ჩარჩო საგნების მოთხოვნების შესაბამისად, ერთნაირ ფორმატში გაკეთდეს, დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის. ეს უკეთ აღსაქმელს გახდის კურიკულუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. აქვე აღსაღნიშნავია, რომ სასწავლო პროცესში მიმდინარეობს პროექტებით სწავლება. ხორციელდება სხვადასხვა სირთულის კვლევითი სამუშაოების შესრულება შინ–სახლის პირობებში, ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ვიდეო მასალით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე |

| | |
|---|---|
| მეცნიერებები | ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გაძლიერებას.<br><br>**რჩევა:** სასურველია, სკოლამ კათედრაზე, საფეხურის ფარგლებში, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთი ფორმის დოკუმენტი (საგნობრივი კურიკულუმი), სადაც სწავლის შედეგები განისაზღვრება საგნობრივი<br><br>სტანდარტის შესაბამისად. საგნის გრძელვადიანი მიზნებისა (სამიზნე ცნებები) და სასწავლო თემების /საკითხების/ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის გათვალისწინებით. (სამივე საფეხური - ყველა საგანი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სსიპ - ზედა განთიადის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებების ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შედეგები, რაც მოსწავლეებში აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს უწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას, ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ. **ინდიკატორი** |

| | |
|---|---|
| | **შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა **არ შეესაბამება** მოთხოვნებს. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის კურიკულუმები არ შეესაბამება კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას.<br>(სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმებში გრაფაში „თემა" მითითებული აქვთ სახელმძღვანელოში მოცემული თავების დასახელებები, კონტექსტ-მაგალითებში კი შესასწავლი საკითხები. გასაუბრების დღეს მასწავლებლებს მიეცათ მითითება და შენიშვნა ამის შესახებ, მაგრამ გამოგზავნილი კურიკულუმების ბოლო ვერსიაშიც ეს შენიშვნა გათვალისწინებული არ იყო.<br><br>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მიუთითა, რომ უზრუნველყოფს კურიკულუმის კორექტირებას **08/09/2025წ.** შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | ზედა განთიადის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები შედგენილია და მიემართება სასწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, ორიენტირებული მოსწავლეზე. შედგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები, სამიზნე ცნება/ცნებები, განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლო ელექტრონული რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში, |

| | |
|---|---|
| | რაც განაპირობებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე გასვლას. **რჩევა**: საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასურველია თემების შესწავლისთვის განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი ჯამი თანხვედრაში მოვიდეს აღნიშნული საფეხურის წლიურ საათობრივ ბადესთან. (შემცირდეს თემების რაოდენობა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება შემოქმედებითი დავალებები და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება.<br>თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შემოქმედებითი ტიპის დავალება (მაგ. სახელმწიფო ენაში მესამე კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი -ორი ასეთი დავალება). მეოთხე კლასში კი ყველა თემაშია გააქტიურებული, მაგრამ ცხრილის სტრუქტურა არასწორია. საკითხი უნდა გააქტიურდეს კომპლექსურ დავალებასთან ერთად და კონტექსტ მაგალითის ქუდში ძირითადი ტექსტები უნდა ეწეროს.<br>პედაგოგების ინტერვიუდან იკვეთება, რომ ამ თვალსაზრისით ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ და რომ გეგმავენ ამ ტიპის მუშაობის უფრო ფართოდ დანერგვას სწავლების პროცესში.<br><br>**რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შეივსოს სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ასევე სასურველია, რომ პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი |

| | |
|---|---|
| | და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ III, IV კლასის კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. (მაგ. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ IV კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაში არ ჩანს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. მხოლოდ სამიზნე ცნება ტექსტია გააქტიურებული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნებში სკოლის არჩევით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო რესურსები გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სახით, ასევე საგნის სპეციალისტების მიერ შერჩეული დამატებითი სასწავლო რესურსები სხვადასხვა ფორმატით: ვიდეო რესურსი, სამეცნიერო ლიტერატურა, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის სახელმძღვანელოები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილი რესურსები: სქემები, პლაკატები, მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები, გამადიდებელი ხელსაწყო – მიკროსკოპები, ექსპერიმენტისთვის/ცდებისთვის ჩასატარებელი მწირად, მაგრამ საჭირო ხელსაწყოები/ინვენტარი. კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ჩამონათვალი იძლევა მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია რესურსები (სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსები და სხვა) არის მიზნობრივი, გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაბამისობა.<br><br>**რჩევა**: სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი (**სამივე საფეხური**-ყველა საგანი), ასევე მიეთითოს სახელმძღვანელო -გამომცემლობა -ავტორი -გვერდები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია უცხოური ენების კათედრის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში კათედრა სამივე საფეხურზე შეესაბამება მოთხოვნებს. კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ელ. რესურსების მისამართები(„ლინკები“), რომლებიც ზუსტად არის მორგებული სასწავლო თემას, მიზნებს, აგრეთვე მასწავლებლები ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მწერლის ბიოგრაფიების ამსახველ ლიტერატურას, შემოქმედებას და მათ შესახებ აუდიო და ვიდეო მასალებს. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ.) რომ ზემოთ ხსენებული რესურსები სრულად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნებ(ებ)ის დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას. რესურსები ითვალისწინებს დიფერენცირებულ სწავლებას და საშუალებას აძლევს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, კურიკულუმში ასახულ თემებთან გაწერილი შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები, საკმარისია მოსწავლის მიერ კურიკულუმით ასახული თემებში სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოს, მათემატიკაში პირველ და მეორე კლასებში მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ფოტომასალები, ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა, ფილმები, წარმოდგენილი აქვთ სათანადო დოკუმენტები (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). ხოლო მეოთხე კლასში ძირითადად სახელმძღვანელოს. თუმცა, კურიკულუმებში მათი ჩამონათვალი ხშირად ზოგადია.<br><br>**რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ.რესურსის |

| | |
|---|---|
| | გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიანი (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და განმავითარებელი შეფასების სისტემები. თითოეული ტიპის შეფასება ხდება წინასწარ ფორმულირებული, სტანდარტის შედეგებზე/სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული და შესასწავლი თემის, საკითხის შინაარსობრივ კონკრეტიკაზე დაყრდნობით, შეფასების კრიტერიუმებით. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმულირებისას გამოყენებულია სტანდარტის შედეგები, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები. შეფასება ხდება ესგ–ის პრონციპების შესაბამისად, დაწყებითში განმავითარებელი შეფასება მე–5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, ხოლო მე–5 კლასის მეორე სემესტრიდან ყველა კლასში მოსწავლეები ფასდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. საგნების მიხედვით შექმნილი აქვთ და წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არის როგორც კონკრეტული (საგნობრივი) ასევე ზოგადი (ყველა საგანში გამოსაყენებელი). თითოეული ტიპის შეფასებისას მასწავლებლები აქტიურად იყენებენ რემედიაციას, რომლის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესება, უნარების განვითარება და წარმოდგენილი აქვთ რემედიაციის გეგმა სხვადასხვა საგნებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი სკოლაში დაფუძნებულია ინკლუზიურობის პრინციპებზე და ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს სწავლების |

| | |
|---|---|
| | პროცესის ეტაპებზე.<br><br>**რჩევა:** სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად და იგეგმოს მოკლევადიანი მიზნები. მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - კურიკულუმში შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, სასურველია ისგ სანიმუშო გეგმის შემუშავების პროცესში, კათედრის ყველა წევრი ჩაერთოს, რათა გარკვეული საჭროების შემთხვევაში სკოლას ჰქონდეს მზაობა შეაფასოს და შეიმუშაოს სპეციალური სასწავლო გეგმა ნებისმიერი ტიპის მოსწავლელის მიღების შემთხვევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, ამის დასადასტურებლად უცხოური ენის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების სქემები. გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების შემდგომ მოსწავლის თვითრეფლექსია მას საშუალებას აძლევს გაიაზროს რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე, რაშიც მასწავლებლის განმავითრებელი შეფასებაც ეხმარება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა, რომ მასწავლებლებს აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარება- დახვეწის თვალსაზრისით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | თავდაპირველად პედაგოგებმა წარმოადგინეს პროექტის შეფასების, პრეზენტაციის, საშინაო დავალებს, საკლასო მუშაობის შეფასების ზოგადი სქემები. ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ, შემაჯამებელი დავალების ანალიზები. ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მიეცათ რჩევა, რომ შეფასების რუბრიკები უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო, დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, წარმოედგინათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და საფეხურების მიხედვით თითოეული თემისთვის შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგინა. შეფასების ყველა დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა |

| | |
|---|---|
| | ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს.<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციია და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ, რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ, მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა მოთხოვნილი შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებში.<br><br>**რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს არა მხოლოდ აკადემიური შედეგების დადგენას, არამედ სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება როგორც სამიზნე ცნებას ასევე ცალკეულ მათემატიკური ცნებების და პროცედურების ფლობის დონის განსაზღვრას. შეფასების კომპონენტები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრონციპები და ამოცანები. ამავე დოკუმენტში გვხვდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა. მტკიცებულებად წარმოდგენილია რამოდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასებების წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს.<br><br>**რჩევა**: სასურველია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით დაიხვეწოს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ გადმოგზავნილია ზოგადი შეფასების რუბრიკა. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის.<br><br>**რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები |

| | |
|---|---|
| | მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა არსებობის შემთხვევაში ისგ და აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის განვითარების პროცესშია და იკვეთება რომ გააუმჯობესებენ მომავალში. საგანი ქიმიაში წარმოდგენილია დიფერენცირებული სწავლებისთვის შექმნილი დავალება და მტკიცებით ფორმაში აღნიშნავს მასწავლებელი, რომ გარდა წარმოდგენილი დოკუმენტისა სხვა ტიპის დიფერენცირებული მიდგომის დავალებებს შეიმუშავებს და გამოიყენებს მოსწავლეთა მზაობის და საჭიროების შესაბამისად. ასევე იკვეთება რომ მოსწავლეთა ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ჩატარებული აქვთ სხვადასხვა ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოები, შექმნილია შემოქმედებითი პროდუქტები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და შესაძლებლობის შესაბამისად მიიღონ განათლება საბუნებისმეტყველო საგნებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება (წერილობითი, ზეპირი).<br><br>**რჩევა:** სასურველია, შეფასების სისტემის გამდიდრება მრავალფეროვანი ინსტრუმენტებით და მკაფიოდ გაწერა, თემასთან მიმართებით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით, თუ როგორ უწყობს ხელს შეფასება სწავლის მიზნების მიღწევასა და მოსწავლის მხარდაჭერას **(სამივე საფეხურზე),** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტად დააკავშირონ ესგ-ის მიხედვით |

| | |
|---|---|
| | გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან. სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები-საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე. სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მოერგოს შესაბამის თემატიკას, კურიკულუმში დაკონკრეტდეს შუალედური სასწავლო მიზანი. ასევე, მიეთითოს პროდუქტი/პროდუქტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. დანართი 2_ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას დაგეგმილი ჰქონდა დიაგნოსტიკური წერის ჩატარება ინგლისურ ენაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული, ინკლუზიური გარემოს შექმნას. ინტერვიუს დროს უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლებმა ყურადღება გაასხვილეს მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და სწავლის პოტენციალის გათვალისწინების აუცილებლობაზე. ისინი თითოეულ მოსწავლეს განიხილავენ, როგორც უნიკალურს თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები, ასევე მოსასმენი სავარჯიშოები), ისე ნიმუში.  მათ წარმოადგინეს დიფერენცირებული დავალებების მაგალითები დანართების სახით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და აქტივობების დიფერენცირებას, ამის თვალსაჩინოდ ჯერ ისაუბრეს და შემდეგ წარმოადგინეს უკვე შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალების ფოტოსურათები და შექმნილი რესურსები. მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | კონკრეტული დავალებისთვის მორგებული შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ, პირველ რიგში, კონკრეტული დავალების ხასიათს, თუ რას ამოწმებს ეს დავალება (მაგ. წაკითხულის გააზრებას, კონკრეტული გრამატიკული ან ლექსიკური ცოდნის შემოწმებას თუ რამე ტექსტის შექმნას ზეპირად თუ წერით), იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. მასწავლებლების ასეთი პასუხი ადასტურებს, რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.<br><br>**რჩევა:** ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები ქართული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.<br><br>შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს მიუთითონ ესგ-ში მითითებული შედეგები, რომლის შემოწმებას აპირებენ ამ დავალების საშუალებით და შექმნან შეფასების რუბრუკები (თუ შემაჯამებელი დავალება ამოწმებს რამდენიმე მიმართულებას, მაგალითად, წაკითხულის გააზრებას, გრამატიკული ნორმების ცოდნას, თავისთავად ყველა მიმართულებას (დავალებას) ექნება თავისი შეფასების რუბრიკა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია ისგ, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს. იკვეთება მასწავლებელთა მზაობა, წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შეიტანონ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული |

| | |
|---|---|
| | ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, სკოლა ცდილობს დანერგოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის დროს გაითვალისწინოს ინკლუზიური ხედვის მიდგომები, სწავლის კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. სკოლაში ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში დაწყებით საფეხურზე არ არის სსსმ მოსწავლე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც შედარებით ამარტივებს სამუშაოს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმვას. შერჩეული სასწავლო რესურსები, თემები მიგვანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. იზომება მოსწავლის პროგრესი. მაგ: მათემატიკაში გამოყენებულია დიფერენცირებული სავარჯიშოები, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს.<br><br>ქართულ ენაში მოსწავლეებს მიეწოდება ვერბალური ინფორმაცია, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალა.<br><br>დაწყებით საფეხურზე ასახულია თითოეული დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*და წ ყ ე ბ ი თ ი 1-4 კ ლა ს ე ბ ი*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის სხდომი სოქმი;
კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
პირველი სემესტრის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი.
საგნობრივი სადიაგნოსტიკო ტესტები
დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია

**უცხოური ენები-**

ინგლისური ენის კურიკულუმები
რუსული ენის კურიკულუმები
დანართი 2 სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი 54-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
დანართი 88-უცხო ენის კათედრის ოქმი N1
დანართი 110- მოსწავლის დიფერენცირებული მიდგომა
დანართი N3 შეფასების რუბრიკები
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 ნიმუში
სამიზნე ცნებებზე მიმართული შეფასებები
შემოქმედებითი პროდუქტი დიფერენცირების ელემენტებით
VI კლასის კომპლექსური დავალება VI  დიფერენცირების ელემენტით
სასწავლო რესურსის ვალიდაციის დოკუმენტი
სამიზნე ცნებებზე მიმართული შეფასებები
შეფასების კომპონენტები უცხოურ ენებში 2024-2025
კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ;
სასკოლო სასწავლო გეგმა.
**საზოგადოებრივი მეცნიერებები (მტკიცებულება):**
საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმები
შეფასების რუბრიკები
შემაჯამებელი წერის ანალიზი
რესურსების ჩამონათვალი
რესურსების გამოყენების წესი
კათედრის ოქმი
გაკვეთილის გეგმა
მოსწავლეთა ნაშრომები
კლუბის წესდება
სასკოლო პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე(მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ **შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☒ **შეესაბამება**<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო საგნებში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის ნაწილს. რაც ეფუძნება ესგ–ის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტებს. პრიორიტეტულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნების მიღწევა. სასწავლო პროცესი მასწავლებლებს მიჰყავთ არსებული კურიკულუმების მიხედვით და რიგ შემთხვევებში მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით და მათი მოთხოვნების შესაბამისად უმატებენ აქტივობებს, სასწავლო რესურსებს, რაც თვალნათლივ მოწმობს, რომ მასწავლებლები ეწევიან კურიკულუმის განვითარებას და მიჰყავთ სასწავლო პროცესი. სასკოლო კურიკულუმის თანხვედრილად მიმდინარეობს შეფასება, სასწავლო პროექტების/არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, ურთიერთდაკვირვება, თვითრეფლექსია, რაც პროცესს ორიენტირებულს ხდის შედეგზე. კათედრა ამლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით.<br><br>**რჩევა:** სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმი ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით (**სამივე საფეხური** - ყველა საგანი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სსიპ - ზედა განთიადის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას |

| | |
|---|---|
| | უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებიდან, პროექტის, ღონისძიების, სახელოვნებო კონკურსის მასალებიდან, იკვეთება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებზე და წარმოადგინეს ფოტო მასალა, რაც იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს.<br>ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ქართული ენასა და ლიტერატურაში დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. აგრეთვე სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შექმნის და განვითარების დოკუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას(ცვლილებას). ეს დაკავშირებულია მიმდინარე სასწავლო პროცესში აღმოჩენილი ან სურთულეების გამო, ან რამე სიახლეების დანერგვის მიზნით, რათა სწავლის პროცესის დროს გაადვილდეს მიზნის მიღწევა და მოსწავლეებისათვის საგაკვეთილო პროცესი იყოს საინტერესო და სახალისო. შექმნილ კურიკულუმებში არის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თავიანთი სამუშაო პროცესი, რის შედეგადაც შემიძლია დავასკვნა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.<br>**რჩევა:** კურიკულუმების შექმნის/მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ფორმაში დაამატონ, დაახლოებით, რამდენ აკადემიურ საათს დაუთმობენ კონკრეტული თემის შესწავლას. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ერთი სვეტი, ან შეუძლიათ აირჩიონ სხვა ფერის ან სტილის შრიფტი, რათა ნათლად გამოჩნდეს კურიკულუმში მათ მიერ სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებები. ეს ცვლილებები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. **ინდიკატორი** |

| | |
|---|---|
| | **შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლოპროცესი — დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით —დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმში ასახულ თემებში სამიზნე ცნებების და საკითხების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს კურიკულუმის განხორციელების თითოეული ეტაპი. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. პედაგოგები ახორციელებენ კურიკულუმის შესაბამის აქტივობებს, კომპლექსური ხასიათის დავალებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. თუმცა, ზოგან ინფორმაცია მეორდება ან ზედმეტად დეტალურად არის წარმოდგენილი, რაც აღსაქმელად არის რთული (მაგ: მათემატიკა მეორე, მესემე, მეოთხე კლასები). **რჩევა:** სასურველია, საკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერებად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კათედრებზე პერიოდულად განიხილავენ პროცესის გამოწვევებს, აანალიზებენ მოსწავლეების შედეგებს, რაზე დაყრდნობითაც მსჯელობენ ინტერვენციულ ღონისძიებებზე და ცდილობენ, დაგეგმილი პროცესის გაუმჯობესებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული მასწავლებელი ყოველდღიური საგაკვეთილო პროცესის განხორციელების დროსაც მოსწავლეებზე დაკვირვებით აანალიზებს პროცესის ეფექტიანობას და საჭიროებისამებრ მოქნილად რეაგირებს დაგეგმილ პროცესში გარკვეული კორექტივების შეტანით, რაც გამოიხატება მიდგომების, მეთოდებისა თუ რესურსების ცვლილებით/დამატებით. სკოლა არა მარტო წლის ბოლოს, არამედ მიმდინარე პროცესშიც აქტიურად ცვლის ისეთ ასპექტებს, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და ეფექტიანობისთვისაა საჭირო. ამასთან, სკოლაში დანერგილია შეცვლა-გაცდენის პრაქტიკა. კონკრეტული მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში სკოლა ზრუნავს იმავე ან მომიჯნავე კათედრის წევრით მასწავლებლის ჩანაცვლებაზე, რაც დასტურდება შეცვლა-გაცდენის უწყისით. გასულ წლებში სკოლას ჰქონდა დისტანციური სწავლების პრაქტიკაც იმ მიზნით, რომ გარე ფაქტორების არ მოეხდინა გავლენა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ აღნიშნული საკითხები (სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირებისთვის) დოკუმენტურადაც გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმასა თუ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის ჩანაცვლება მისი არყოფნის შემთხვევაში, როგორ მოხდება სასწავლო დღეების კალენდრის კორექტირება, ობიექტური მიზეზების გამო სასწავლო დღის/დღეების გაცდენის შემთხვევაში, როგორ მოხდება დაგეგმილი პროცესების გადაგეგმვა, საჭიროების შემთხვევაში და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან–განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუ მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი: სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი, რუბრიკა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან და თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტის შედეგებისა და გრძელვადიანი მიზნებისკენ. გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა, შექმნილი აქვთ შეფასების |

| | |
|---|---|
| | რუბრიკები სხვადასხვა თემების შესაბამისად. პროცესში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის შეფასების გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე.<br><br>**რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება **(სამივე საფეხური-**ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში - ხელოვნება, მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აქვთ მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს.<br>მიუხედავად იმისა, რომ კათედრამ ვერ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის კონკრეტულ დავალებებს მორგებული კონკრეტული შეფასების რუბრიკები, სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებელთა პასუხები ინტერვიუს დროს, თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს, გვაძლევს საშუალებას დადებითად შევაფასოთ ეს ინდიკატორი. კერძოდ, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა ყოველთვის ზუსტად იციან, თუ რას შეუფასებთ მასწავლებელი დავალების დასრულებისას. კრიტერიუმებს მასწავლებელი აცნობს წინასწარ და გამოკრული არის თვალსაჩინო ადგილას, ხშირად სამუშაო რვეულებშიც აქვთ ჩაკრული.<br><br>**რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშავოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებზე (ესგ-ის მიხედვით) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუაელებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. სკოლაში ინტეგრირებულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და ზუსტ წარმოდგენას მის აკადემიურ მდგომარეობაზე.<br><br>მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ფორმებს (ზეპირი პასუხი, პრეზენტაცია, ტესტი, პრაქტიკული დავალება, შემაჯამებელი დავალება და სხვა), რაც ემსახურება სასწავლო მიზნების სრულად დაფარვას და უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასება უკავშირდება იმ რეალურ უნარებსა და ცოდნას, რაც კურიკულუმშია გაწერილი. მოსწავლეებს მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აცნობენ შეფასების რუბრიკებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალებები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) ცხადყოფს რომ ის არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, |

| | |
|---|---|
| | სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლის მიერ მოწოდებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. მოსწავლეებს აცნობენ თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება ფესტივალებზე მათი შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლები, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული.<br><br>**რჩევა:** სასურველია, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შეფასების რუბრიკები დაიხვეწოს და თან ერთვოდეს ყველა შემოქმედებით დავალებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლები შეიმუშავებენ ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის. მასწავლებლები, წესისამებრ, უნდა აცნობდნენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ არაა წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით შეფასების რუბრიკები.<br><br>**რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების სქემა თან ერთვოდეს ყველა შემოქმედბითი დავალებას, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი შემუშავებული აქვს 2025 წლის 7 აპრილის N01-02/12 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ვერიფიკაციის განხორციელებას სამი მიმართულებებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესების ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული მექანიზმის აქტიური გამოყენება, რისთვისაც სასურველია, შეიმუშაოს ვერიფიკატორების მიერ განსახორციელებელი აქტივობების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, განხორციელების ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

მოსწავლეთა შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. ამასთან, შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მოსწავლეთა ნამუშევრები, საგამოცდო დოკუმენტაცია, უწყისები და ა.შ.) აღრიცხვა წარმოებს და ინახება სათანადო წესითა და არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**უცხოური ენები**
ინგლისური ენის კურიკულუმები
რუსული ენის კურიკულუმები
დანართი 2 სასკოლო სასწავლო გეგმა
დანართი 20-მასწავლებლის უკუკავშირი უცხო ენა
დანართი 54-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
დანართი 98-შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (1)
დანართი 108- მასწ.თვითშეფასება
დანართი N3 შეფასების რუბრიკები
სამიზნე ცნებებზე მიმართული შეფასებები

სასწავლო რესურსის ვალიდაციის დოკუმენტი
სამიზნე ცნებებზე მიმართული შეფასებები
შეფასების კომპონენტები უცხოურ ენებში 2024-2025
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები;

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი სასწავლო რესურსი: სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული მოსწავლის სახელმძღვანელო. ასევე  დამატებითი სასწავლო რესურსები: ვიდეო მასალა, სამეცნიერო ლიტერატურის ამონარიდები, ცენტრის მიერ ლიცენზირებული საგნობრივი შინაარსის ლიტერატურა, ინტერნეტ სტატიები და სხვა სასწავლო პროცესსი გამოსაყენებელი მასალები.  წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისას გამოიყენება სწორედ ის სასწავლო რესურსები რაც კურიკულუმშია მითითებული.<br><br>რჩევა: სასურველია მეტი დამატებითი რესურსები იქნას შერჩეული ამა თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისთვის, რაც გაზრდის მოსწავლეთა ცნობიერების სფეროს და გაზრდის, ასევე მათ მოტივაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება |

| | |
|---|---|
| მეცნიერებები | ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია.<br><br>**რჩევა:** სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს დ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სსიპ - ზედა განთიადის საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრის წევრები სასწავლო პროცესს წარმართავენ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ვალიდირებული) სასწავლო რესურსების გამოყენებით. გარდა კურიკულუმებში მითითებულისა, გასაუბრებაზე მათ წარმოადგინეს მრავალფეროვანი პლაკატები და სხვა დამხმარე რესურსი, მიეცათ **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს. კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ელექტრონული მასალების მისამართები(ლინკები) მოცემულია წარმოდგენილ კურიკულუმებში). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა. ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

**2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობების განხორციელება ეთანადებოდეს სტანდარტის მოთხოვნებს, რის მტკიცებულებასაც წარმოადგენს მათ მიერ შექმნილ კურიკულუმებში თემის შესასწავლად დაფიქსირებული დამატებითი სასწავლო რესურსები და მათი შერჩევის საკითხის განხილვის დამადასტურებელი კათედრის სხდომის ოქმი. შერჩეული რესურსები პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც სტანდარტი აწესებს მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | სწავლებისა და მათი განვითარებისთვის. წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები აშკარად აკმაყოფილებს იმას, რომ შეიქმნას სწორი პროდუქტი. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ საგნობრივი თემატიკის სწავლებისა და სტანდარტის შედეგის მისაღწევად თავად არჩევენ დამხმარე სასწავლო რესურსებს და უსადაგებენ განსახოციელებელ აქტივობებს, რომ მოსწავლემ მარტივად შეძლოს დავალების შესრულება და საჭირო დასკვნები გააკეთოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების ( მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა. აგრეთვე, სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათერამ წარადგინა დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები დანართის სახით, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (სასწავლო რესურსის ვალიდაციის დოკუმენტი, დანართი 88-უცხო ენის კათედრის ოქმი N1) მიხედვით უცხოური ენების კათედრა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | გასაუბრების შედეგად გამოვლიდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის, რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია, რესურსების შერჩევისას ყურადღებას აქცევენ შემდეგ კრიტერიუმებს: რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას, ასაკობრივ დონეს და პროგრამას. ძირითადი და დამხმარე რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა მასწავლებელთა მიერ დასტურდება კათედრის სხდომის ოქმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ |

| | |
|---|---|
| | ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, მასწავლებლებმა უპასუხეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.) აღნიშნული აგრეთვე დასტურდება კათედრის სხდომის ოქმით, რომელშიც განხილულია ძირითადი და დამხმარე რესურსების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. აღნიშნული დასტურდება კათედრის ოქმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსები სპორტული ინვენტარის, ვალიდაცია ხდება კათედრის თანამშრომლობით. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ხდება აღნიშნული საკითხის განხილვა დღის წესრიგით და პედაგოგები მოსწავლეთა საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით არჩევენ საგანმნათლებლო რესურსებს, რისი დასტურიც არის კათედრის ოქმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე, რომელსაც ირჩევენ სასწავლო წლის დასაწყისში. აღნიშნული დასტურდება კათედრის ოქმით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, დამხმარე რესურსები კი, რომლებიც სკოლამ შეარჩია და კურიკულუმებში შეიტანა, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. კათედრის ოქმით დასტურდება დამხმარე რესურსების შერჩევის განხილვის საკითხი პედაგოგთა მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

### 3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, აკლია ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები, როგორებიცაა : ცდების დროს წარმოქმნილი აირებისთვის გამწოვი კარადა, ეტიკეტირებული ქიმიური რეაქტივები და ცდების ჩასატარებელი მაგიდის ცეცხლგამძლე ზედაპირი. ლაბორატორიის სრულად აღჭურვა კიდევ მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეებს მატერიალური რესურსებით, რაც დაეხმარებათ სწავლის შედეგების მიღწევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭიროებს განახლებასა და ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი რესურსით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა სასწავლო წლის ბოლომდე აღნიშნული საკითხის მოგვარება (კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე), ვიზიტის დროს საკითხი კვლავაც მოუგვარებელი იყო.<br><br>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობას **23/07/2026წ.** შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო საგნების (მე და საზოგადოება, ჩემი საქართველო, მოქალაქეობა, ისტორია, გეოგრაფია) კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვდომია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა |

| | |
|---|---|
| | მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მცირე რიცხოვანია, სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ამ ინდიკატორში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** მოთხოვნებს. სკოლას, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, რათა უზრუნველყოს კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. მაგალითად, კათედრას შეუძლია გამოიყენოს სკოლაში არსებული კომპიუტერი და პროექტორი საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის ინტერნეტი, ბიბლიოთეკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | სკოლა აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლაში არსებული სპორტდარბაზი, სპორტული ინვენტარი, გარე სივრცე მძლეოსნობისთვის, კომპიუტერები, საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი, ლაბორატორია). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

კურიკულუმის განმახორციელებლების პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მათი უმეტესობის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობას. თუმცა 3 მასწავლებლის შემთხვევაში გამოიკვეთა შეუსაბამობა, კერძოდ, ერთი მასწავლებელი, რომელსაც დადასტურებული არ აქვს საგნობრივი კომპეტენცია, დაწყებით საფეხურზე ასწავლის მუსიკას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და მათემატიკას, გარდა ამისა საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკას. მეორე მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული დაწყებით საფეხურზე ასწავლის ჩვენ საქართველოს, საბაზო და საშუალო საფეხურზე კი ისტორიას. მესამე მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია დაწყებით საფეხურზე ასწავლის ჭადრაკს, მე და საზოგადოებას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, სპორტს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, ბუნებისმეტყველებას და აგრეთვე, ბუნებისმეტყველებას ასწავლის საბაზო საფეხურზე.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მასწავლებლების საათების კვალიფიციურ კადრებზე გადანაწილება ან ახალი კადრის აყვანა, საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების შერჩევას **23/07/2026წ.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც მეტწილი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დაწყებითი 1-4 კლასები*
კათედრის ოქმი
ფოტომასალა
დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია

**უცხოური ენები-**

ინგლისური ენის კურიკულუმები
რუსული ენის კურიკულუმები
დანართი 2 სასკოლო სასწავლო გეგმა
სასწავლო რესურსის ვალიდაციის დოკუმენტი
დანართი კვალიფიკაცია
სპორტი
ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმი.
სასკოლო სასწავლო გეგმა.
ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების რუბრიკა
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ფოტომასალა- სპორტდარბაზი, სპორტული ინვენტარი.
სასწავლო რესურსების ნიმუშები;
სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☐შეესაბამება<br><br>☒**მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☐შეესაბამება<br><br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, რომლის ფარგლებშიც მოწმდება: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი, მეთოდოლოგიის მიხედვით, უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ხორციელდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიური თანამშრომლობით. ამ ეტაპზე მონიტორინგისა და შეფასების ფორმა სკოლის მიერ ხორციელდება პერიოდული დაკვირვებებით, კათედრების მიერ მოსწავლეთა შედეგებისა და სასწავლო პროცესის ანალიზის საშუალებით, თუმცა აღნიშნულს არ აქვს სისტემური ხასიათი. რჩევა: შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს კონკრეტული ინსტრუმენტების შემუშავება და მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების კონკრეტული გეგმის შექმნა, რომელთა დახმარებითაც სკოლა შეძლებს როგორც მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციის პერმანენტულად შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, დასრულებული პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის რევიზიის პროცედურები ითვალისწინებს სასწავლო პროცესის შეფასებისა და ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებას მოსდევს მიზნობრივი მუშაობა პროცესების გაუმჯობესების გზების შერჩევისა და გამოყენების სახით. სკოლის მიერ სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემური დანერგვის შემთხვევაში სკოლას აქვს მზაობა, რომ მიგნებების შესაბამისად შეარჩიოს და განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საქმიანობის პროცესშიც ხორციელდება საგაკვეთილო დაკვირვებები, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები იღებენ განმავითარებელ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დაკვირვებების გზით განხორციელებულ მონიტორნგისა და შეფასების პროცესს აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ მიგნებებს სკოლა იყენებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმები;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

ამ ეტაპზე სკოლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების წყაროდ გამოყენებულია საგაკვეთილო დაკვირვებები, მეთოდოლოგიით კი ამ მიზნებისთვია განსაზღვრულია მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ აღნიშნულ პროცესში მეთოდოლოგიით დამატებით განსაზღვროს და ინფორმაცია შეაგროვოს მოსწავლეთა, მშობელთა თუ სხვა ჩართული მხარეებიდანაც, რათა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს მრავალფეროვანი წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

ამ ეტაპზე სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლგიით გაწერილია და განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესშიც აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ძირითადად შემოიფარგლება საგაკვეთილო კონტექსტით - ფასდება საგაკვეთილო პროცესი და სწავლის შედეგების მიღწევა. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დააფუძნოს მრავალფეროვან კონტექსტებს, მაგალითად, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სასკოლო კულტურისა და გარემოს ფორმირების, მოსწავლის მხარდაჭერის სისტემებისა თუ სხვა კონტექსტების შესწავლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ამ ეტაპზე გამოყენებულია 2 ძირითადი მეთოდი: საგაკვეთილო დაკვირვება და ასევე, მეთოდოლოგიით განსაზღვრული მეორადი მონაცემების ანალიზიც (მოსწავლეთა შედეგები). **რჩევა**: სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიაში დაამატოს და სასწავლო პროცესის შესაფასებლად შემდგომ გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: გამოკითხვა, ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, რათა შეძლოს სანდო რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აკუმულირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

საგაკვეთილო დაკვირვებისას სკოლა იყენებს სპეციალურ ფორმას, რომელიც ითვალისწინებს პროცესის შეფასებას რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით : კლასის ორგანიზების ფორმები, მოსწავლეთა ჩართულობა, მასწავლებლის როლი, სასწავლო რესურსების მიზნობრიობა, შეფასება და ა.შ. ასევე, მოსწავლეთა შედეგების ანალიზით ხდება სტანდარტის შედეგების პროგრესის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებისა და წყაროების გამრავალფეროვნებასთან ერთად გაითვალისწინოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას მისცემს (მაგალითად, სასწავლო გარემო და კლიმატი, ოჯახის როლი და ა.შ.). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

### 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასულ სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა: თითოეულ ზემოჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების გაუმჯობესების შესახებ კონკრეტულ ინტერვენციებზე მსჯელობა იმართება სასწავლო წლის შემაჯამებელ კათედრისა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი რევიზიის პროცედურები იძლევა იმის საშუალებას, რომ სკოლამ ყოველწლიურად უზრუნველყოს სასწავლო წლის შეჯამებისას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით კურიკულუმის გაუმჯობესება. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები განიხილავენ მიმდინარე პროცესს და გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზებზე დაყრდნობით ცვლიან თავიანთ პრაქტიკას. ცვლილებების ასახვა რევიზირებულ კურიკულუმში ვლინდება სასწავლო რესურსებისა თუ მიდგომების შეცვლით/დამატებით. სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემურად ამოქმედების შემდეგ სკოლა შეძლებს გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებასა და კონკრეტული ინტერვენციების საგნობრივ კურიკულუმებში ასახვას. ამ ეტაპზეც ცვლილებების შეტანა კურიკულუმში დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუს შედეგებით, რომლის ფარგლებშიც ისინი ასახელებენ კონკრეტულ მაგალითებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმებში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................

თარიღი: 31.07.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:









